

გაგაგასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი

№ 36 (330)

შპს 40 თეთრი

ყოველ შაბათს: «არქილი»

ლიტერატურული გაზეთი

«გაგაგასიონში»



აფხაზეთი ნარკოზონის ცენტრი ხდება

ხაღღისოდ აფხაზეთი ნარკოტიკებისა და იარაღის გამსაღებელი გადასაქვითავე პუნქტი გახდა. ტრანსპორტად „ნარკოზონის ცენტრი“ იყენებენ ვერტმფრენებს, რომლებიც რეგულარულ რეისებს აწყობენ სოფელ აძუბუას რაიონში. ფრენის უსაფრთხოებას აკონტროლებენ აფხაზეთი მილიციის წარმომადგენლები აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გივი აგრბას ხელმძღვანელობით. სენსაციურია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნარკოზონის მფლობელურ ჯგუფში შედიან, აგრეთვე, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინა და მისი ნათესავები.

036066ა

არძინაზა ორით იმუქრება

ამ დღეებში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინამ ადგილობრივი რადიოთი გამოსვლისას ულტიმატუმი წამოუყენა საქართველოს ხელისუფლებას მასზე, რომ თუ რუსეთის სამშვიდობო ძალებს დაეცინება პოლიციის ფუნქციები, რომლის განხორციელებაც განზრახული აქვს რუსეთის თავდაცვის მინისტრს პ.გრაჩოვს, ეს გალის რაიონში გამოიწვევს დესტაბილიზაციას და ახალ კონფლიქტებს. ხოლო თუ გალელი დევნილები გარისკავენ დაბრუნებას, აფხაზთა მხარე დაინიშნავს საბრძოლო მოქმედებებს და მიიღებს ყველა ზომას მათ უკან გასაბრუნებლად.

036066ა



სანავთობო პერიპეტიები

აზერბაიჯანის მილიმეტრის თავმჯდომარის რასულ გალიევის თქმით, აზერბაიჯანისთვის, კაბიტადაბანდების თვალსაზრისით, უფრო მომგებიანია კასპის ნავთობის ტრანსპორტირების რუსული, ხოლო აქტივობის ტერმინების თვალსაზრისით — ქართული ვარიანტი. ორი მარშრუტის გამოყენების მიზანშეუწონლობაზე საუბრისას გალიევა აღნიშნა, რომ რუსული მილსადენით შესაძლებელია 7-8 მილიონი ტონა ნავთობის გატარება, როცა მოპოვება შეადგენს არანაკლებ 300 მილიონ ტონას. საჭირო გახდა დანარჩენი ნავთობის საქართველოს გზით გადასაყვანა შეეხო რა რუსეთის წინადადებას, ნავთობსადენის ბულგარეთზე და საბერძნეთზე გატარების შესახებ, გალიევა აღნიშნა, რომ ეს „ჩვენი და ასევე საქართველოსთვის მოგებიანი არ არის“.

20 მარტამდე მოვიხდით...

მაზეთის, სანავთობისა და ბუნებრივი გაზის ნაკლებობის გამო „თბილისი“ ჩვეულებრივზე ორჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას იმუშავებს. საქენერგოს დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რომელმაც არ იხურვა ვინაობის გამხელა, აღნიშნა, რომ ხარვეზები ელექტროენერგიის მიწოდებაზე გაგრძელდება 20 მარტამდე — ხაგაზაფხულო წყალუხვობამდე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ქვეყნის ამოქმედებას.

036066ა

„კოვენანტის საათი“ გაგაგასიონის

თბილისის ლამის დაწესებულებებში ასაკობრივი ცენზი წესდება. ლამის ბარბში და დისკოთეკებზე მოზარდები მხოლოდ 22 საათამდე დაიშვებიან. მათთვის სპორტული სახელების მოიღვა აკრძალულია. დამოუკიდებელი მეთვალყურეები მიიჩნევენ, რომ ეს აკრძალვა ბარბენათის და მათი მაკონტროლებელი ორგანიზაციებისთვის ახალი შემოსავლის წყარო გახდება.

BGI

საჭიროა დასავლური ავიალინერები

უახლოეს წლებში საქართველოს საავიაციო დეპარტამენტს მოუწევს შეცვალოს რუსეთის სამზარეულო თვითმფრინავები დასავლეთის ქვეყნების მიერ გამოშვებული ლინერებით. საქართველოს საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ კანკოტაძის აზრით, საავიაციო ხომალდები ტუ-154 და ტუ-134 საერთაშორისო ნორმებს არ შეესაბამება. ამასთან ერთად დეპარტამენტის ბალანსზე მყოფმა თვითმფრინავების უმრავლესობამ თავისი რესურსები ამოწურა. რუსეთი კი უოველწლოურად აძირებს სათაბარო ნაწილებს. ზ.კანკოტაძის თქმით, აუცილებელია დაიწყოს დასავლეთის საავიაციო ტექნიკის ათვისება დეპარტამენტმა უკვე ლიზინგის სახით მიიღოს „ბიონი“ — 737.

036066ა

კანონმდებელი

„მოთელვას“ გადის

კანონმდებელი კულტურის შესახებ შუად არის საქართველოს პარლამენტში წარსადგენად. კულტურის მინისტრის იურისტი გ.გუგუშვილი ეს პროექტი, ამჟამად რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირებში განხილვას.

BGI

ჩინათი

ივანოვიჩი, რომ ყიზლარი და ბუდიონოვსკი აღარ განემორღვა

ინტერფაქსის ცნობით, ჩინეთში სიტუაცია კვლავ დაძაბულია. ბოლო ორი დღის განმავლობაში გროზნოში კვლავ დუდაევის მომხრე მებრძოლების გააქტიურების ტენდენცია შეიმჩნევა, მონაზღვრე რაიონებში კი უკვე აშკარაა სტაბილიზაციის ნიშნები. რუსულ მხარეს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს დაღესტნის ტერიტორიაზე ჩინური მებრძოლები სავე 3 სატიერთო ავტომატანა მოძრაობდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაამოწმა ეს ინფორმაცია და უარყო იგი. ივანოვიჩი, რომ ყიზლარი და ბუდიონოვსკი აღარ განემორღვა. რაც შეეხება ინგუშეთს: სოფელ არშტში უკვე რუსეთის შედარებით პროკურატურის წარმომადგენლებს ელოდებიან, რომლებიც იქ 58-ე არმიის შეყვანის სამართლიანობის საკითხის შესწავლას დაიწყებენ. ცნობილი გახდა ისიც, რომ ინგუშეთის ერთ-ერთ სოფელში კვლავ

ბაბრკაძე 30-3 გვ.

პროგნოზი

ნურს გაურინდები, ნურს მოურინდები... ორ იურიდიულ პირს უორის ნაღდი

ანგარიშსწორების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში ორივე ობიექტი ჯარიმდება, თუმცა...

სახელმწიფო საბაღასახალო ინსპექცია თავს იკავებს სანქციების ბატარაობისაგან

ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის ამ ეტაპზე თვალნათლად გამოჩნდა, რომ უამრავი კანონი, დებულება თუ ნორმატიული აქტი მოითხოვს შესწორებას. რადგან ბევრი რამ მათში წინააღმდეგობრივი ან მოძველებულია, რამაც მძიმე, ზოგჯერ გაუგებარ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი მეწარმე...

ბაბრკაძე 30-2 გვ.

შარშან შემოდგომაზე თბილისში რეზო ყარაღაზილი დაბადებიდან წინ წელს დაიბადებოდა. უმცირესი გერ. ანისტა საერთაშორისო სიმპოზიუმში გაიმართა — „კულტურული და ინტერკულტურული მესსიერება“, რომლის ორგანიზატორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა და ახლადშექმნილი ინტერკულტურული გერმანისტიკის კაბინეტი იყო.



V

პრილი

ნაირა გელაუვილი

უნებურად...



კუთხობა

ეს ბოლო ხანია,
რადაცას დავეძებ,
და რას ვერ ვხვდები,
გაფანტული მჩქვს ჭკუა-გონება
(დადაქალაქის ბინადარი ვარ)...

ასფალტი ავია...
მე კი ბალახი არა ვარ...
აქ ისეთი ცხოვრება გვაქვს, ჩემო დობილო,
ვიდრე მიწა გულში არ ჩაგვიკრავს,
შეიძლება მიწა ვერ ნახო...

ხელს გავიშვერ ხოლმე,
მინდა ვილატას მოვეფერო,
და არ ვიცი ვის,
ვისი კეფა ან შუბლი ენატრება
ჩემს უცხო ხელისგულს...

ეს ბოლო ხანია
ჩემმა გულმა დედამიწა, მგონი
იშვილა...
(მე არავინ აღარაფერს მეკითხება,
არც გული და არც ხელისგული...
ხედავენ, რომ ვერაფრისთვის ვერ მომიცლია...)
ჩაუხუტებია და დაჭყავს ასე
როგორც ჩიტი ანდა ბაქია,
ან როგორც ნაძვის ხის სათამაშო,
რომელიც არ იცის რას ჩამოჰკიდოს,
რომელ ვარსკვლავს...

ო, მივხვდი... მივხვდი...
დედამიწას დავეძებ, ძვირფასო,
რა ხანია აღარსად შემხვედრია,
თუმცა სამსახურში ფეხით დავლივარ
(დედაქალაქის ბინადარი ვარ)...


ხელს გავიშვერ ხოლმე,
მინდა ვილატას მოვეფერო
და არ ვიცი ვის ეძებს ჩემი ხელისგული
და გულის ხელეები სად ეცეცებიან...

მინდა ხელი გადავუსვა
როგორც ბავშვის თავს,
როგორც ჩემს ლეკვს, რომელიც მომიკვდა
ბავშვობაში და სულ მენატრება
ან როგორც ჩემს კნუტს —
სინაზისა და უმწეობის პატარა გუნდას...
და ნეტავ ამ დროს მის თვალებში ჩამახედა...

საფლავზე გავიქეცი...
საფლავებს შორის ვიწრო ბილიკზეც



III



ზურბაბ


ლაკრელაუვილი

კრ.ო.ყ.ა

ორი მოთხრობა

IV V

თხალსახრისი



თამაზ ვასაძე

II

ლიტერატურული


გერკთაუგანისეხემლობა

დ რ ა მ ა ტ უ რ ბ ი ა

ლუდმილა

პეტრუშეშვსკაია

VI VII




იზოლირებული კალატა

2 მარტი, 1996 წ.

საკვირაო საკითხავი

ჯონ ბინსის «სიყვარულის მესნიერება»



ამთანდილ ჯონაძის წინასწარი კომენტარებით

VIII



რამდენი თანამეცხედრე შეიძლება იყოლოს ადამიანმა ერთდროულად? ნუთუ ესეც საკითხავია?! — ერთი, რასაკვირველია, მაგრამ... საქმეც სწორედ ამ „მაგრამს“ შეეხება... ოფიციალურად ჩვენში მონოგამიაა დაკანონებული (ერთი ცოლი ერთ ქმარზე). საზოგადოებრივი აზრით, ძირითადად, თანაუგრძნობს და ეთანხმება ამ ვითარებას, მაგრამ, ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს თანხმობა ვერ არის მთლად უბირობო; ყოველ შემთხვევაში, მამაკაცებისადმი ჩვენი საზოგადოებრივი აზრი პატარა-პატარა შეღავათების მიცემას მაინც და მაინც არ ერიდება: თუ კაცს ცოლის გარდა საყვარელიც უყავს,

როგორც იტყვიან, ამით ქვეყანა არ იქცევა. სულო ცოდვილო და ასეთ ადამიანს ერთგვარი ღირსების შარავანდელიც კი ემატება: „რა ქნას, ახალგაზრდა კაცია, ცოლს სომ არ შეაჩერდება, ორგანიზმი თავისას ითხოვს“ და ა.შ. და ა.შ. იმის თქმა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ქალების მიმართაც ასევე ლოგიკურად მსჯელობს, უმართებულო იქნებოდა. უთანასწორობა მიდგომაში აქ აშკარაა, ოღონდ მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს, რომ აქ ლაპარაკია საზოგადოებრივ აზრზე და არა იმაზე, თუ ვის უფრო სძირად უყავს სინამდვილეში საყვარლები — ცოლიან კაცებს თუ ქმრიან ქალებს; ძალიან

მოსალოდნელია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები ამ მხრივ მამაკაცებს სულ არ ჩამოუვარდებიან... სტატისტიკა მონშობს, რომ განქორწინების რიცხვი ჩვენში განსწარვლად იზრდება და, რასაკვირველია, მესამე პირებს ამ საქმეში სულაც არ ეკუთვნით ხოლმე მეორეხარისხოვანი როლი. ოჯახი ვერ იქნება მტკიცე იმ საზოგადოებაში, სადაც საყვარლის ყოლა მანკიერებად არ ითვლება. ესეც თბილისური სინამდვილეა: სეროუას პკითხეს: ცოლი სჯობია, თუ საყვარელი და — შენ ჯერ სახელს დააკვირდიო! ანეკდოტი ანეკდოტად, მაგრამ სიმართლის წილი ყველა ხუპრობაშია, — დამოკიდებულება ჩანს.

მოკვდებოდა. სიბნელე მაშინვე, სიბნელეში უფრო მწყურია სიცოცხლე. ქმარმა არ უპასუხა. ძრავა აამუშავა და დაიძრინ. ავტომობილი სწრაფად მიქროდა. აყვავებული ფშატის ხეები უკან დარჩა. გზადაგზა რეჰანის ნათესებით მოგებული მინდვრები და ტელეგრაფის ბოძებზე ჩამომსდარი ყვავები ხედებო-

დათ. ავტომობილის ჩაჯვრისას ყვავები მიძიდებ შლიდნენ ფრთას, ჩხავილით მიფრინავდნენ ფშატის კორომებისკენ. მკვრივი, ჩატყვიებული ცის ფონზე ყვავები ფილაქანზე დაცვენილ საფანტის შარცვლებს ჰგავდნენ. მაგრამ ქალს ისინი არ შეუნიშნავს, უშიშრად იყურებოდა წინ და ჩუმად იმეორებდა:

— ამ ამბავს ვეღარასოდეს დავივიწყებ, აყვავებულ ფშატებს და მკვლარ ცხენს. ქაცი ღუმდა. ისიც გზას გაჟეურებდა. როცა დაბა გამოჩნდა, ავტომობილი გაჩერდა. — გადავალ, საბურავებს დავხედავ. ქალმა თავი დაუქნია. თვალებს არ ახამხამებდა, ცნებლი გაშრობოდა. ჩუმად უყურებდა, როგორ შემოუარა ქაცმა ავტომობილს, როგორ მიეყრდნო ძარას და სიგარეტი გააბოლა.

ვაგებული რტოები ჩანდა. შარაზე უცხო ავტომობილმა დაამუხრუჭა. ავტომობილის მგზავრი ქაცს გამოელაპარაკა. ქალს არ გაუგია, რა უპასუხა ქაცმა, მაგრამ ავტომობილი უკუსვლით დაიძრა, შემობრუნდა და გაქრა. ქმარმა კარი გამოაღო. ჩაჯდა. — ვინ იყვნენ? — შეითხა ქალმა. — ქალაქის გზა იკითხეს. რამდენიმე კილომეტრი ხულ ტყუილად უვლიათ. — მო, რაღა თქმა უნდა, — ნაღვლიანად ნაიჭურჩულა ქალმა, — მაგრამ ამ გზაზე ხომ თეთრი ცხენი მოკლეს.



„ალარ მაპატიებს, — ფიქრობდა ქალი. — თავი უნდა შემემაგრებინა.“ — სალონის სარკეში თმა გაისწორა. უბებში გაჩენილ ნაოჭებს საჩვენებელი თითი ჩამოუსვა. „განა ყველაფერი სულ ერთი არ არის? თეთრ, ღამაზ ცხენს ხომ ვეღარ უყურებდა არც ფშატის აყ-



სახსოვარი

რეზო ყარალაშვილის ღვაწლი


მთელი ცხოვრება ჰერმან ჰესეს შემოქმედების შესწავლას მიუძღვნა, თუმცა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არახდროს მისცემია საშუალება ამ დიდი გერმანელი მწერლის არქივში ემოშავა. იგი არც მონტანიოლაში გაუშვეს (სოფელი შვეიცარიაში, სადაც ე.წ. „პალაცო კამუცოში“ 1919-31 წლებში ჰესე ცხოვრობდა) და არც „ჰესეს სახლის“ ნახვის უფლება მისცეს. დიდი გერმანელი მწერლის „ცნობიერების სივრცეების“ მოხილვის სურვილი მისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩა.



ლი აღმოჩნდა. 1989 წლის ხუთ აპრილს რეზო ყარალაშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა ვაიმარში.

რეზო ყარალაშვილი 1940 წლის 5 აგვისტოს დაიბადა თბილისში. 1944 წელს დედა შუა აზიაში გადაასახლეს (ბაბუა დედის მხრიდან, გუსტავ შფეფესი, თბილისის გერმანული გიმნაზიის პირველი რექტორი, 1938 წელს დააპატიმრეს) და ოთხი წლის ბავშვზე ზრუნვა მისმა დედამ პაპამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ იკისრა (კალისტრატე ცინცაძის ქალიშვილი, რეზო ყარალაშვილის ბებია, წინა ცინცაძე 1938 წელს დახვრიტეს). 1953 წლამდე იგი ბაბუასთან ცხოვრობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი შუა აზიაში გაემგზავრა დედასთან. სწავლობდა აღ-

შემოქმედებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. აქ გაიცნეს იგი მსოფლიოს წამყვანმა გერმანისტებმა, როგორც ჰესეს ბრწყინვალე სპეციალისტი, აქ მოხდა მისი აღიარება. იგი ყოველთვის ცდილობდა უფრო ახლოს გაეცნო უცხოელი მეცნიერებისთვის ქართული კულტურა და ლიტერატურა. გერმანიაში, ლიტერატურულ ენციკლოპედიაში დაიბეჭდა მისი სტატიები შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ეკუა ფშაველას შესახებ. 1986 წელს რეზო ყარალაშვილმა თბილისის უნივერსიტეტში გოეთეს სახელობის კაბინეტი დააარსა. შეაგროვა უძვირფასესი ლიტერატურა, მოსკოვსა და ლენინგრადში, მეგობრების დახმარებით შეისყიდა ნიგნები გოეთესა და გოეთესდონის იდეები ავტორების შესახებ, თავად გოეთესა და მისი თანამედროვეების ნაწარმოებები. ამ კაბინეტის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი გოეთეს დღეების ტრადიციას საქართველოში, კონფერენციებს, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდა მეცნიერები იღებდნენ მონაწილეობას. რეზო ყარალაშვილი დიდი ხნის მანძილზე იყო გერმანული ფილოლოგიის კათედრის გამგე.



რეზო ყარალაშვილი ჰერმან ჰესეს შვილებთან, ბრუნოსთან და ჰაინერთან

1989 წელს იგი პირველად გაემგზავრა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქ.ზაარბრიუენში, საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის მიზნით. აქ იგი ბევრ თავის მეგობარს შეხვდა, რომლებიც დიდი ხანი არ ენახა, ან მხოლოდ მიმოწერით იცნობდა (1970 წლიდან რეზო ყარალაშვილს მიმორთა პქონდა პერმან ჰესეს ვაჟთან — ჰაინერ ჰესესთან, რომელმაც 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში ჩამოსვლაც მოახერხა და აქ გამართულ საღამოზე ბევრი საინტერესო რამ მოყვა მამის შესახებ. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ გერმანულ მწერალ ერვინ შტრიტმატერთან, ცნობილ რუს გერმანისტს, დისიდენტ ლევ კოპლევიანთან და მის მეუღლესთან რაისა ორლოვასთან). თებერვალში იგი ვაიმარში მიინიეს სამი თვით, საზღვარგარეთ ეს პირველი ხანგრძლივი მივლინება იყო. მეცნიერისთვის იგი სამუსხაროდ უკანასკნე-

შარმან შემოდგომაზე თბილისში რეზო ყარალაშვილის დაბადებიდან წწ წლისთავისადმი მიძღვნილი გერმანისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა — „კულტურული და ინტერკულტურული მესხიერება“, რომლის ორგანიზატორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა და ახლადშექმნილი ინტერკულტურული გერმანისტის კაბინეტი იყო. სიმპოზიუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ალექსანდრე კარტოზიამ გვითხრა, რომ რეზო ყარალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარების იდეა ჯერ კიდევ 1971 წელს არსებობდა, მაგრამ 1995 წლამდე ვერ მოხერხდა მისი ორგანიზება.

სიმპოზიუმზე ჩამოვიდნენ მეცნიერები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნაშრომები გამოაგზავნეს იაპონელმა, ამერიკელმა, ინდოელმა, პოლონელმა, თურქმა, პოლანდიელმა, რუსმა მეცნიერებმა. ცენტრალური, სადისკუსიო მოხსენების გარდა (პორსტ ტურკის „ინტერკულტურული მესხიერება? ისტორიის გაფანტული ნაკვალავი“), ნაიკითხეს მოხსენებები, რომელიც პერმან ჰესესა და სხვა გერმანელი ავტორების შემოქმედებას ეძღვნებოდა. გამოშვებულმა ხაზი გაუსვეს რეზო ყარალაშვილის ღვაწლს გერმანული და საერთოდ ევროპული კულტურისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

ამაზე მეტყველებს მის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნერილები გოეთეს, კირკეგორის, კაფკას, მუზილის, თმანის, პოფმანსტალის, დიურენმატის, ბიოლის, ბრენტის, დოდერერის, შტრიტმატერის, კანეტის, ვულფის, ვალბერის შემოქმედების შესახებ. რეზო ყარალაშვილის ნაშრომებში ყველა წყარო საგულდაგულოდა შემოწმებული, სანდოა ყოველი მოყვანილი ციტატა, ყველა წინადადება. ყოველ წყაროს გამოყენებული ლიტერატურის უზარმაზარი ნუსხა ახლავს. ნაწარმოებებისა, თუ ცალკეული ეპიზოდების ახლებური განმარტებისას იგი მიზნად არ ისახავდა საბოლოო ჭეშმარიტების

გამოცხადებას. მწერლის ნაწარმოების ინტერპრეტირებისას იგი ხშირად ამა თუ იმ ფილოსოფიურ წყაროს ან მხატვრულ კონცეფციას მიმართავდა, მაგრამ არახდროს ანიჭებდა მას წამყვან როლს. თავისი ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „მწერლი უწინარეს ყოვლისა ხელოვანია და, მამასადაძე სიმბოლოები, იდეოგრამები და კონსტრუქციები, რომელთაც იგი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად სესხულობს საიდანმე, იქნება ეს კიერკეგორის შეხედულებანი, ანალიზური ფსიქოლოგია, თუ აღმოსავლური სიბრძნე, თვით ნაწარმოებში სრულიად ახალ ხარისხს იძენენ, შიგნიდან გამოასხივებენ თავისთავად და თვითყოფად ძალას და ახალ, ადრინდელი სემანტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობისგან დამოუკიდებელ ესთეტიკურ ღირებულებას ქმნიან“.

პერმან ჰესეს „სულის ბიოგრაფიები“ მისი სულის ნაწილად იქცა. „ბიოგრაფიული ეპიდემიის“ ეპოქაში მან შეძლო სტანდარტული ბიოგრაფიების ჩარჩოებიდან გასულიყო და მწერლის შინაგან სამყაროზე გაემსხვილებინა ყურადღება, შეექმნა მისი „სულის ბიოგრაფია“.

სიცოცხლის ბოლოს რეზო ყარალაშვილმა ელიას კანეტის წერილები და მოგონებები მოაშხადა გამოსაცემად, მაგრამ მისთვის მაინც უცხო იყო ამ მწერლის მიერ სიკვდილის მიუღებლობა (სიკვდილი კანეტისთვის ბოროტებაა, რომელიც სიცოცხლეს ზღუდავს, ამიტომ იგი კატეგორიულად უარყოფს მას, ადამიანზე მის ბატონობას და აღნიშნავს, რომ სიკვდილს არანაირი კავშირი არა აქვს ცხოვრებასთან).



ნიტშეს სახლი, სადაც 1959 წელს გარდაიცვალა რეზო ყარალაშვილი


პერმან ჰესე ერთ-ერთ ავტოკომენტარში წერდა: „კანეტის სიკვდილი მე ყრმა ტიტოს აღზრდის შეწყვეტად კი არ მიმარჩია, არამედ მის დაგვირგვინებად და მიზნის შესრულებად“. სულიერი ტრადიცია არ შემწყდარა, რეზო ყარალაშვილის მიერ დაწყებული საქმეს შოთა მანაფეები აუწყებენ.

მალხაზ ხარბაძე

პ რ ი ზ ა

2 მარტი, 1996 წ.

დაოთხის ყოფილა. ისე გარბიან ეს წლები, უკან მოხედვას ვერ მოახწვრებ. ჩემგან ბევრი აღარაფერი დაჰქირდება. პენსიას ის იმყოფინებს. მე კიდე, საავადმყოფოებში გავიტან თავს როგორმე. უჩემობასაც შეეგუება, დედის სახლში არყოფნას. არა ვარ, არა ვარ და, ერთ მშვენიერ დღეს საერთოდ აღარ ვიქნები. ერთი და იგივე გამოდის. ფული სულ იმას ექნება. თავის ჭკუაზე დახარჯავს. ივარჯიშოს, მიეჩვიოს დამოუკიდებელ ცხოვრებას. ახლაც დამოუკიდებელია უკვე. შაბათ საღამოს და კვირას თვითონ მიდის სახლში. თვითონ იმზადებს, ჩემთვისაც მოაქვს. ამ ყველაფერს თავისით ახერხებს. მარტო. მე არაფერი მინდა. აქ უფასო კვებაა. გინდა, როგორ არ გინდაო. ფული კი აქვს ახლა. ჩემი ერთი თვის პენსია. თან ინტერნატშიც უფასოდ აქმევენ.



ბ. მარუსიასაც — ცალკე ჩემი პენსია და ცალკე თავისი ხელფასი. მაგრამ ფანტავს აქეთ-იქით. არაფერი რჩება. როგორც კი თვალისაგან მომიცილებს დაჰკრავს თებს და ხან ტალინშია, ხან ბალტიისპირეთშია გადავარდნილი. ერთ ადგილზე ვერ ეტევა. სადაც არავინ იცნობს. იქით ეშურება. სადაც იცნობენ. იქ ხო არაფერი გამოუვა. არადა ეძებს. ქმარს გამოკრას ხელი. მართლა ქმარი თუ ერქმევა.

რაც არ უნდა მალე, ხო მივა ბოლო-ბოლო სახლში. ხო დანახავს შავს და თეთრს, ვერც ირინკას დაუფიცებ. გინდა-არგინდა, წამოგცდება. ყოველ მეორე წუთს ირინკა აკრია პირზე. ხალხი ღიზინდება. არავის ეჭაწნიკება აშეებს მოსმენა. თავს არიდებენ. მარუსია, ნურავის ეტენები ძალით-მეთქი, სულ ვეუბნები. არა და, რა ქნას, ვინმეს თუ არ მიეკედლა? მე მომეკედლოს, იქით სათრევი უნდა გავუხდე. სხვებთან გარბის და, სირცხვილის მეტი ვერაფერი ნახა.

ა. აბა, მე საერთოდ არა მრცხვენია კიბო რომ მაქვს. სხვებს რცხვენოდეთ. მე სულ არა მრცხვენია. მე ვიცი ჩემი სიტუაცია. სხვებმა ხომ არ იციან. შუბლზე ხომ არ მაწერია. არც შევიტყობ. სანამ შემემდეგება. ვანიას გულისთვის ვცდილობ. ამიტომ უნდა გავძლო დიდხანს. იმათ, რა თქმა უნდა, თავისები უავთ გასაზრდელი. ისინი თავისებისთვის იბრძვიან. მე კიდე, სულ ფეხებზე არა მკიდა, სხვისი შვილები? მე ჩემი მყავს. ეგრეა. ბრძოლაა. ვიბრძვით, რასაც ჰქვია, ბრძოლა არსებობისთვის.

ბ. მე კიდე არაფერიც არ მინდა. მალაჩიებში მე არ დავდივარ. რიგებში არა ვდგავარ. მარუსია ხო საერთოდ. ჩვენ არაფერი არ გვინდა ის მარტო თვითმფრინავის ბილეთებზე დგას. არის ცოტა ხანს, მუშაობს, დააგროვებს და ჩაასკდება თვითმფრინავში! აეროფლოტი დაფრისნავს!

კამელონი კამენია.

ა. და ბ. ვის? მე? თქვენ. მე?
ბ. მე, ვაი, ეს რა არის. ვაი. ხალათი. ვაი. მე ხომ ვერ ვდგები. მარუსია მოვიდა, ჩემი ქალიშვილი. ნუ, ნუ ტირი ბებია. არ ტირი, ჩემო ანგელოზო. არა. (გადის).

ა. ზის, სახეზე ხალევი აქვს ავარაბული. ბ. შამოლის ფუთებით, ჩანთებით.

ა. ზის, სახეზე ხალევი აქვს ავარაბული. ბ. ალაპავს რაც შამოიტანა.

ბ. აი, ასეა. ჭერ დაიკარგება, არ ჩანს. მერე ერთად ყილულობს ყველაფერს. რად მინდოდა ამდენი? ბალტიისპირეთში გაფრენილა, იქ უყვია. გული მიგრძნობს, ცოტა ხანში შვილიშვილს მომიყოლებს იმ ბალტიისპირეთიდან. იქ არ იცნობდნენ. იქ არ უფრთხოდნენ. ჩვენთვის კი განა სულ ერთია ვინ იქნება. განა სულ ერთია. საიდან იქნება. ხუ დამიტანა გული, ნუ მოდიხარ ასე ხშირ-ხშირად ჩემთან. ხშირად ქვია. ბებო მოგიკვდეს, საავადმყოფოში ვარ გამოკეტალი. გული მიგრძნობს, მალე დედიკო გესტუმრება. დამშვიდდება, დაცხრება. სულს მოითქვამს ცოტას და მოვა. ბალახებს მოასუფთავებს. უვავილებს მოგირწყავს. არ მინდა ბებია, მე ბალახქვეშაც კარგად ვგრძნობ თავს.

ა. გაგიუდა მგონი. გაგიუდა. ჭკუიდან გადადგა, საცოდავი.

ბ. აი, რამდენი რალაცები მომიტანა, დედას გავახარებო და გამახარა კიდეც. მე უბნება. აგერ, პრემია მომიცესო. აგერ, თბილი ჩულქებიო — უნგრულები. აგერ, ახალთახალი ლიფი. აი, ვაშლები. აი, მურაბა.

ა. ვანია ბიჭია. ლიფი და ამისთანები არც მისხენებია ხმამალდა. თვითონაც რცხვენია. ფრიადოსანია. (სახეზე ხელებს იფარებს).

ბ. აწი შენთანაც მოვლენ. ჭერ დროა, ნუ ნერვიულობ, შვილო. მოირბენს ბიჭი. ერთი შენ უავხარ ამ ქვეყანაზე. შაბათი დღეა. მალაჩებში დიდი ამბავი იქნება.

ა. არც ვნერვიულობ. სკოლიდან ესესა, მოვიდოდა. შენ არ იცი თორე. ყოველ დღე მოდის. შენ რა იცი, დღეს პირველად მხედავ. შემომიყვანეს შენს პალატაში. დავჭეკი და ეგ იყო. არც კი იცის. აქ თუ ვარ. ეს გამოკეთებულების პალატაა. ვანიას ამ ოხერ შადმყოფობაზე არც არაფერს ვეუბნები. რატომ უნდა იცოდეს.

ბ. გეგონოს! გამოკეთებულების, კი ვინც აქ იყო შენამდე. იმის ადგილს დიდიდან ქლორს აყრიან.

ა. შენ რა იცი?
ბ. მე სულ აქ ვწევარ.
ა. დიდი ხანია?
ბ. თვე შემისრულდება.
ა. აბა, შედარებით მსუბუქებიო?
ბ. გეგონოს! უიმედოების პალატაა. გათავებულების!

ა. ვისაც მკურნალობა გაუთავდა, იმათი პალატა. მე გუშინ შემიწვკიტეს აბები და ნემსები დამანიშნეს.

ბ. მერე.
ა. ნინა ივანოვანამ მითხრა შედარებით გამოკეთებულთა პალატაში გადამყავხარო.
ბ. წუხანდლამდე ისიც სულ გამოკეთებისკენ იყო. ამ დილით პირსახოცით ნიკაპარული გაიტანეს.
ა. მე ათი წლის ვადა მომცეს.
ბ. ათი წელი? ათი ლიტრი.
ა. შენ ლოთი ხომ არა ხარ, რა ლიტრები გელანდება?
ბ. ათი ლიტრი სითხე თუ გამოვიღეს.
ა. ვითომ გუშინ?
ბ. მაშასადამე გუშინ.
ა. მერე ვანიას რა ეშველება?
ბ. დღეს მოვა?
ა. მოსვლით კი მოვა. მოვა.
ბ. მოვა და ყველაფერი უთხარი. ყველაფრისთვის მოამზადე. ყველაფრისთვის. დას მიწერე, დედას მიწერე. ქმარს გაავებინე, სადაც არის. ყველას დაუძახე.
ა. რამდენ დღეში?
ბ. ახლავე, დღესვე მიწერე. მეც დღე-დღეზე ველოდები, მაგრამ ჭერ ისევე აქა ვარ.
ა. არა. გამოკეთებულების პალატაო. ნინა ივანოვანამ მითხრა.
ბ. ეს ბოქსია!
ა. რა?
ბ. რა და ბოქსია. გადადებულებისთვის განკუთვნილი იზოლირებული ბოქსი. სხვები რომ არ შევაშინოთ. ჩვენ ისეთ საავადმყოფოში ვართ. სადაც ხალხზე ზრუნავენ.

ა. მერე ვანიას რა ეშველება?
ბ. მარუსიას? შენ რა, დედა არ დაგიმარხია?
ა. არა.
ბ. ჰოდა, დედაშენს დაუძახე. ბელი გქონია.

ა. არც დედა მეავს და არც მამა. მამამ მიატოვა. მერე დედა სახლიდან წავადა. გადაიკარგა. მგონი დაიღუპა.

ბ. ჰოდა, მშობლები უნდა წავიდნენ და შვილები დარჩნენ. ერთად არავინ დახლიდა. მიწერე, ყველას მიწერე. ვინც გავასხენდება. რა გერიდება, ისინი ცოცხლები რჩებიან. აბა, ვანია რო გეტირა ის აქობებდა, ვანია რო შენ დაგემარხა? ჰა, დაფიქრი ერთი, რომელი აქობებდა? მარუსიამ ირინკა დაასუფთავა, ახლა ჩემიც მოუწევს. ძან გაწვალდა, დიდი ჭავა დაადგა. აგერ ჩვენ სახლში. დედა-შვილი

კვდებოდა ერთად. ერთ ოთახში, ერთ-ოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. გვარად სატანოვსკები. მადლობა ღმერთს, დედა ერთი დღით ადრე მიიბარა უფალმა, როგორც წესია. შვილზე ერთი დღით ადრე. დედა ორმოცდაათი წლის იყო, შვილი ოცდაშვიდის.
ა. ისინი რაში მენადვლებიან, მე ჩემი ცხოვრება მაქვს.
ბ. არა. გისმინე, გისმინე და ყელში ამოვიდა. მომხედე აქეთ. ღვთის წყალობით თავისთვის პატრონად ახლავე ვარგაო. მიწერე შენ. სამსახურში. კეთილი ინებონ და შეგირდოდ აღუყვანონ. რამდენი ვიცი, შეგირდობით დაუწვია და დიდი კაცი გამოსულა. რა გჭირს? ჩვენ უკეთესად ვიზრდებოდით? რისა გეშინია?
ა. ესწავლა მინდოდა. უმაღლესში ჩაებარებინა.
ბ. უხმინე ახლა ამას! ნათესავები გყავს?
ა. და. სოფელში.
ბ. ჩამოვიდეს!
ა. კი. ჩამოვა! სახლი აქვს. კარი აქვს, ძროხა ყავს. ბავშვები. გამოფრინდება.
ბ. მაშინ ვანია წაიყვანონ.
ა. ოთახი რო დაგვეკარგება ქალაქში?
ბ. მოკლედ ამის გულს ვერაფრით შეასრულებ! ბოლო-ბოლო, ოთახი შეიძლება არც დაიკარგოს. საავადმყოფოში უავთ იურისტი. შეგიძლია, პირდაპირ პალატაში გამოიძახო.

კამენია.


ა. ვის, მე? მოვრბივარ! მოვრბივარ! მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს. მოვიდა, ის არის, ვანია. ის ხო მაინც არის ცოცხალი. შენ კიდე ლაპარაკობდი. ცოცხალია. (გადის).

ბ. სახის ხალევი ჩარბავს.

ბ. ნუ ბებია, არ გინდა. ბებია. საყვარელო. აღარ ვაზამ. შვილო. დედიკო ხო გყავს. დედა გაგვიჩენს... ძამიკოს... თუ არადა დაიკოს...

დასასრული

თარგმანა ირმა არჩუაშვილმა



არჩუაშვილი

2 მარტი, 1996 წ.

ჩვენი ბაბუა, გეორგ კოფე...
მეორე მხარე კოფე...
...
1872 წელს გარდაიცვალა ჩვენი ბაბუა...

ში და 15 წლისამ ტფილისს
სადურგლო სახელოსნოში შეანებე-
ქიანი დაწყო შეგირდად სწავლა...

კრესიერზე ("S.M.S. Goeben") მსა-
ხრობდა. 1915 წელს ჩვენი ოჯახს
უბრძანეს რომ სამი დღის განმავ-

რუი, ელიზაბედისალი, კატარინენ-
ვალი, ალექსანდრისლორუი, ახა-
ლი კოლონია ტყე-ლისი, საქარს-

ბიუნდენ უწყინარი კუბი, შხაძინი
გველები და კლდეებზე მცოცავი
ხვალკები, რა ხშირად შეგვამსენ-

ტფილისში დაბრუნებულმა მა-
მამ ფორტეპიანოების შეკეთებას
მიჰყო ხელი, კოჯორში გაიწერო

ჩვენი დიდი ბაბუა იობან იაკობ
გროთციხერი (მამის მხრიდან)
დაიბადა 1785 წელს

ჩვენი ბაბუა გოთფრიდ შულცი
(დედის მხრიდან) დაიბადა 1833
წელს რინგელსლორუში.

ბიუნდენ უწყინარი კუბი, შხაძინი
გველები და კლდეებზე მცოცავი
ხვალკები, რა ხშირად შეგვამსენ-

მომღონებები ქართველ
ბერძანელთა უმსახებ



...ქილავ სკდ პრის
მისი მსგავსი?!

როგორც ვაცნობთ, 1916
წელს დედაც უნდა დასდგომოდა
გადასახლებისკენ მიმავალ გზას.

რველი ფორტეპიანო
გაქცა. • შემდეგ
წელს გაყიდულ იქნა
12. მისიკად წელს
24 და ასე შემ-

მთარბმეწიწაბან.
საქართველოში მისი
არა ბერძანულია მსტო-
რია ჯერ არ დაწერილა.

კახეთის სამთავროს
ერთ-ერთი ნაწილი მეტოქე-
ნოდა ბარონ ფონ ნიკოლა-

ბიუნდენ უწყინარი კუბი, შხაძინი
გველები და კლდეებზე მცოცავი
ხვალკები, რა ხშირად შეგვამსენ-

კვილი

- სამოთხიან ბინას საბურთალოზე, ტიპური პროექტით, ძველი რემონტით, ორმაგი კარ-ფანჯრით, რკინის კარით, სამზარეულო, აბაზანა კაფელშია. ფასი 33 ათასი ლარი. ტელ.: 39-84-23.
- არასტანდარტული, გარემონტებული 4-ოთხიანად გადაკეთებული 3-ოთხიანი ბინა ორმხრივი აივნით. ოთახთა ფართი: 28 კვ.სმ., 16 კვ.სმ., 15 კვ.სმ., 11 კვ.სმ., ლოჯია 18 კვ.სმ. რკინის კარებით. მუდმივი ცხელი წყლით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საბურთალოს ქუჩაზე. ტელ.: 38-11-02.
- დაბა სარაგაულში (ჭაჭაუაძის ქ.№ 9) ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გარაჟით, დამზარე სათავსოებით, საბაღე მინის ნაკვეთით, ტელეფონით. მსურველებმა დაჩვენონ სარაგაულში: 2-15-42. თბილისში: 37-55-39 (ნათელა).
- კუთხოვნებში ჩასმულ რკინის ბადეს (ლობეს ეზოსთვის, ნაკვეთისთვის), ბადე არის უფანჯავი. მთლიანი სიგრძე 3 მეტრი, სიმაღლე 1 მ და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი, თავისი მიღებით. მიღების ზრმა 2 მ და 80 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.
- მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის, ზომა 4X2. ტელ.: 66-19-26. იკითხეთ ოთარი.
- პოლონურ სასადილოს „გდანსკი“. ახალი, შეფუთულ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-45-97.
- წყნეთში ორსართულიანი კორპუსის 1 სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებულ ბინას სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, ავტოფარეხით, საბოსტნე ადგილით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის, მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-86-55 ან 73-78-90. ფასი შეთანხმებით.
- საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“ სამოთხიან, ახლადგარემონტებულ მაღალჭერიან ბინას. ოთახების ფართობი 20, 22 და 40 კვ.მ., 6-სართულიანი სახლის მეორე სართულზე; კედლის კარადებით, ტელეფონით, სარდაფით, აივნით, რომელსაც მიშენებული აქვს ორი რკინის კარადა. საერთო ფართი 120 კვ.მ. ტელ.: 38-37-43.
- სამოთხიან, არასტანდარტულ, გარემონტებულ ბინას საბურთალოს ცენტრში, მეოთხე სართულზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან“. ფასი 54000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- სამსართულიან, კაპიტალურ, კერძო სახლს სოფელ ვალაქანში საგურამოსთან, 1500 კვ.მ. ხეხილიანი ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ოროთხიანი ტიპური, გარემონტებული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი 24000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- პოლონურ კედელს „დორიტა“ თავისი რბილი სამუდამო; სანერი მაგიდა, გასაშლელი მაგიდა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78.
- გერმანულ პიანინოს „როინიში“. იუგოსლავიური კედელი „მირაჟი“; ბულგარული საძინებელი „სოფია“, ნიგნების კარადა, ხელვა, კედლის ძველებური სარკე 1X1,50. ფასი შეთანხმებით. ტ.: 37-34-37, 39-16-78.

კვალი

- ოროთხიანი ბინას ლოჯიით, ტელეფონით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-23-78.
- ახლედანიის ქუჩაზე (ყოფილი პეროვსკაია), ყოფილი ვერის ბაზრის გვერდი 18 კვ.მ. ოთახი ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. ტელ.: 93-44-05.
- ვერაზე ორ ოთახიან ბინაში ერთ ოთახს, გოგონებისთვის. ფასი 70 ლარი. ტელ.: 29-18-06.
- საბურთალოზე, მეტროსადგურ „გოცირიძესთან“ (უნიტელი „დელისი“) ახლოს, რეასართულიანი სახლის მესამე სართულზე ერთოთახიანი, იზოლირებული, უტელეფონო ბინას, თვეში 90 ლარად. ტელ.: 74-48-92.
- ოროთხიანი ბინას, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე, მიცეკვიჩის ქუჩაზე (კომისარიატის თავზე). ტელ.: 37-29-15 (დათო).
- რამდენიმე წლის მინისქვეშა გარაჟს ჯანდაცვის სამინისტროს ეზოში.
- 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა, ფალიაშვილის №25-ში. ფასი შეთანხმებით.

სხვადასხვა

- ვცვლი ტიპური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „გაგაკასიის პირუის“ პირდაპირ, ასევე ტიპური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისი“ მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.
- მოვაშადავებ სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში ბინაზე მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-96-24 (იზა).
- პროფესიონალი მუსიკოსი აგინყობთ ფორტეპიანოს. ტელ.: 38-96-24 (იზა).

სვატიცხოველი ყოველი მართლმადიდებლისთვის და ყოველი მართლმადიდებელი სვატიცხოველისთვის!

ვინც თავს ვალდებულად რაცხვს, სვეტიცხოველის ბედზე იზრუნოს, ვაუწყებთ ანგარიშს, რომელიც, მსგავსად ვიდოვნისა, შეგვებს შეხაწირს საქართველოს უმთავრესი სალოცავის ახალრძინებლად:


საპარტოვლოს საპატრიარქოს საკათედრო ტაძრის სვატიცხოველის ფონდი 000701709

გთხოვთ, თანხის შეტანის თარიღი აგნობოთ სვეტიცხოველის წინამძღვარს ტელეფონით: 93-48-69.

შემოქმედებულია სახელები შემონაწირი თანხის აღნიშვნით შეტანილი იქნება სვეტიცხოველის მატანგში. ჩვენი საზოგადოებრიობა ამ მონაცემებს შეიტყობს პრესის ფურცლებიდან.

გზარავაით ღმერთი.

სვატიცხოველის წინამძღვარი,
არქიმანდრიტი იოაკიმე (ასათიანი).



რელიგიის საზნის მასშავლებლობის განკუთვნილი სტიპენდია ინგლისში


პროექტი რეკონსტრუქციის, პროექტი რეკონსტრუქციის სიარისა და ბაჯონ ვახტანგ როდინის 1995 წლის ივნის-ივლისის ინგლისის კონსტრუქციის შედეგად, „იმერეთის ორბიტა“ და „ინგლისის რეკონსტრუქციის საზნის ორ ახალ-ბაზრულ მასშავლებლობას, რომელიც გააძლიერებს საზნის მასშავლებლობას ინგლისში 12 კვირით 1997 წლის იანვრისთვის. სტიპენდია შეეკუთვნება რელიგიის საზნის მასშავლებლობის მხარეზე, რომ ინგლისში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ ჭარულ სკოლაში. მასშავლებლობა იცხოვრებენ ოქტობრის მხარეზე. ში სუბსტიფიცირებას გაუწევს რელიგიის საზნის გამოცდილი სექციისთვის.

უპირატესობა მიენიჭება 25-35 წლის ასაკის მასშავლებლობის, რომლებსაც აქვთ დაცვითი კლასების და მოხრდილი ასაკის მასშავლებლობის შესაძობის სულ მცირე ორი წლის გამოცდილება და რომელიც რელიგიის საზნის სკოლაში მუშაობის დროს და ახ სწავლობენ რელიგიის საზნის სკოლაში.

სტიპენდიის მიღების მსურველი უნდა შეიქმნოს მთავარი რელიგიის სწავლების სრულყოფისათვის საქარო მონაცემები. აუცილებელია ინგლისური ენის სათანადო ცოდნა (საუბარო და წერა).

განცხადების ფორმა მოიკითხეთ — მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალებისა და გადამზადების ინსტიტუტი. თბილისში, დავით აღმაშენებლის 178, ტელ.: 34-11-34.

განცხადების მიღების უკანასკნელი ვადა 1996 წლის 31 მარტი.



ფირმა „თორი“

ბინების ყიდვა-გაყიდვა ვაცვლა გაქმირაზება

ფირმა „თორი“ დიდი ბინებით და კერძო სახლებით ძალაქის პრესტიჟულ რაიონებში

- იყიდება**
- უფლი დიდი ბინა, ფასი შეთანხმებით.
 - ვერაზე დუბლექსის ტიპის სუთოთახიანი სარემონტო ბინა, ფასი 112 000 ლარი.
 - ვერაზე კარგ ადგილზე 600 კვ.მ მინის ფართი კაპიტალური პატარა სახლით, ფასი 130 000 ლარი.
 - საბურთალოზე ორსართულიანი, თორმეტოთახიანი გარემონტებული სახლი 600 კვ.მ ფართის ეზოთი, ფასი 252 000 ლარი.
 - საბურთალოზე არასტანდარტული სამოთხიანი სუფთა ბინა, ფასი შეთანხმებით.
 - კლახანოვში ექვსოთახიანი გარემონტებული ბინა კაპიტალურ სახლში კარგ სართულზე, ფასი 132 000 ლარი.
 - სოლოლაკში ისტორიულ სახლში ათოთახიანი სარემონტო ბინა მეორე სართულზე, 412 მ2 ფართი. გამოდგება საოფისედ, ფასი 206 000 ლარი.
 - სოლოლაკში სუთოთახიანი 207 კვ.მ ფართის ბინა კარგ სართულზე, ფასი 69 000 ლარი.
 - რუსთაველაზე 200 კვ.მ ფართის საოფისე საკუთარი დამოუკიდებელი ეზოთი, ფასი 204 000 ლარი.
 - ბრიზოვოვში, ახალგარემონტებული ოთხოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე, 206 კვ.მ ფართი, გამოდგება საოფისედ, ფასი 103 000 ლარი.
 - მთაწმინდაზე ძლიერ კარგად გარემონტებული სამსართულიანი სახლი კოსტა ეზოთი, ფასი 204 000 ლარი.
 - ფიშრის ბორაზე, სუფთა სამოთხიანი ბინა იზოლირებული ოთახებით, საჭიროებს კონსტრუქციურ რემონტს, ფასი 64 000 ლარი.
 - მთაწმინდაზე ახალაშენებულ სახლში ოთხოთახიანი ურემონტო ბინა, ფასი 44 000 ლარი.
- მისაგარით: სოლოლაკი, ლეონიძის ქ.14 (ყოფილი კირიძის) ტელეფონი 93-39-98 93-18-03 10სთ-დან 19სთ-მდე ყოველდღე.

კვილი

- ძველებურ გერმანულ როიალს „კაპსი“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-50-90, იკითხეთ ღია.
- ოროთახიან ბინას 40 კვ.მ. მეორე სართული. ღია აივნით, ეზოთი. მისამართი: ლესელიძის №9, კაფე „მავულის“ თავზე. ტელ.: 98-40-36, იკითხეთ მარინა.
- საძინებელ ავეჯს „ლუდოვიკო“ და „აერორა“ და 9-ფოთიან „გორკას“. ტელ.: 96-89-17, იკითხეთ ნუგზარი ან ილო.
- ჩინურ ყავის სერვისს „დრაკონი“ 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, იკითხეთ ეკა.
- გერმანულ პიანინოს „როინიში“. ფასი შეთანხმებით; ფინური რბილი სამეული, გადაკრული ხავერდის ნაჭრით. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 37-17-63.
- იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი“; ბულგარული საძინებელი „სოფიო“; პოლონური კედელი „დოროცა“ რბილი სამეული+სანჯიჩი მაგიდა; კედლის ძველებური სარკე 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78 ან 39-34-37.
- „გარაჟის“ რკინის კარებს, ზომა: სიგანე-2,7 მ. სიმაღლე-2,3 მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (სალამოს საათებში).
- 2 ტონიან, უფანგავი ლითონის ავზს, ზომა 2 X 1 X 1, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (სალამოს საათებში).
- 3 ოთახიან, იზოლირებულ ბინას დილის მასივში (გამზირზე დიდუბის სიღნაღი) მე-2 კვარტალი, მე-6ბ კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული, მიშენებული ლოჯიით 48 კვ. დაშენების უფლებით, ფასი 20 000 ლარი. ტელ.: 93-10-49 51-56-99 (მაიკო).
- ათოთახიან კერძო სახლს ეზოთი. ფასი 60 000 ლარი. მისამართი: ზემო ვეპისის დასახლება №103 (მარინა).
- პრესტიჟულ ამერიკულ მანქანას „ფორდ-მერკური-მონარქი“. სანჯისი ფასი 5000 ლარი. ტელ.: 34-72-36.
- ერთსართულიან საავტომობილო სახლს 600 კვ.მ.ეზოთი, საუკეთესო გზის მსხვილიარე ხეხილით, 1800 კვ.მ. ვენახით, გურჯაანის რაიონის სოფელ გიმიტში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-81-52 (ელენე (12 სთ-დან 18 სთ-მდე).
- 6 ოთახიან ბინას საბურთალოს ცენტრში. ბინას აქვს დიდი სამზარეულო, ოთხი დამხმარე სათავსო, 2 ტუალეტი, დიდი აბაზანა, 2 აივანი, 2 სარდაფი და კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 37, მე-2 სად. ბინა 19. ტელ.: 37-17-78.
- ერთოთახიან ბინას გამსახურდიას გამზირზე, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, აივნით და ტელეფონით. ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 39-14-25 (ნელი).
- 4-ოთახიანი სუფთა, ტელეფონიანი ბინა გლდანის პირველ მიკრორაიონში (მოსკოვის პროექტი), VIII სართულზე (9 სართულიანში), ფასი 8000 დოლარი. ცნობებისთვის დარეკეთ: 67-30-53 ან 66-43-98.
- ან იცვლება ავტოავტო ასურეთში, ნაკვეთები კვეთებით (ბეთანია) და ლილოს ბაზრობასთან. სამგორის ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში, 1-2 წლის მსუბუქ ავტომანქანაზე.
- თბილისში ერთოთახიან ან ოროთახიან ბინაზე ოზურგეთში ორსართულიანი სახლი დიდი მიწის ნაკვეთით (5000 კვ.მ.), ტელ.: 23-38-26.
- გერმანული აკორდეონი ფირმა „ველ-ტემისტერ“. 120 ბანიანი, საკონცერტო. კაფეს და სახინკლის მაგიდები და სკამები, ყინულის კუბიკების გენერატორი, ხის ორი ცალი ყრუ კარი ჩარჩოებით 237X72. ტელ.: 37-74-71.
- ავტომანქანა ყივული — 06. თავისი ძრავით. ფასი შეთანხმებით 7 ტელ. 36-74-55 ვატული.
- შეფუთული გერმანული კედელი „პა-ფელი“ სამეულის, მაგიდისა და სკამების გარეშე. ფასი 1300 ლარი. ტელ.: 78-76-86
- სოფელ ახალუბანში თბილისიდან 28 კმ-ის დაშორებით ორსართულიანი სახლი 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი.

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება
ჭავჭავაძის გამზირზე
საოფისი.
საერთო ფართი 80 კვ.მ.,
ფასი 88 000 ლარი.

იყიდება
ვაკეში
საკუთარი სახლი
(საერთო ფართი 160 კვ.მ.) ეზო-
თი (400 კვ.მ.)
ავტოფარეხით.

იყიდება
ვაკეში
2-ოთახიანი ბინა.
თანამედროვე ლამაზი
რემონტით.
ფასი 62 000 ლარი.

ტ: 22-26-15
(ნებისმიერ დროს)
29-32-14 (10-18სთ.)
კონტაქტი
ყიდვა-გაყიდვა-გაქირავება
მისამართი:
პეტრიაშვილის ქუჩა 16
(ბარბანული სკოლის
პირდაპირ)

იყიდება
მრგვალ ბალთან
3-ოთახიანი ბინა
უახლესი რემონტით.

იყიდება ვაკეში კარგი
4-ოთახიანი ბინა
კარგ სართულზე.
ფასი 99 000 ლარი.

იყიდება
ვირაზე
2-სართულიანი სახლი
საერთო ფართი 600 კვ.მ.
22 ოთახითა და 6 ტელეფონით.
საკუთარი ეზოთი (120 კვ.მ.)

იყიდება
ვაკეში
2 1 ოთახიანი ბინა,
საერთო ფართი 150 კვ.მ. (სარე-
მონტო).
ფასი 87 500 ლარი

იყიდება
თბილისის კოლორიტულ
უბანში
რუსტორანი მუშა
მდგომარეობაში.
ფასი 90 000 ლარი.

- 6000 ლარად. ტელეფონი: 93-17-71 დილის საათებში
- მანქანის კონდენციონერი, იაპონური „ნიტაჩი“. ფასი 200 ლარი. ტელეფონი: 93-11-81 სარინა
- „ოპელ-სენატორი“ 1986 წლის გამოშვება ყავისფერი პერლამოტრი, კარგ მდგომარეობაში, ლუკით, ფასი 4000 ლარი. ტელეფონი: 39-54-14 (ქეთინო)
- ხუთოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან. საერთო ფართი 240 კვ.მ. ბინა დამთავრების სტადიაში, აქვს ავტოფარეხი 1 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 95-42-91
- ან იცვლება გარემონტებული, პრივატიზებული, სამსართულიანი ბინა წერეთლის გამზირზე, სინათლე მუდმივია. ცნობებისთვის დარეკეთ: 36-84-03 ან 39-24-52 იკითხეთ ვაჟა
- ავურის ერთსართულიან ხუთოთახიან ბინას 2500 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, კასპის რაიონი სადგური მეტეხი. სანჯისი ფასი 3500 ლარი. ტელეფონი: 98-59-84
- ვაჟა-ფშაველას №5-ში ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ექვს ოთახიანი ბინას, ლოჯიით. ქერის სიმაღლე 3,60, ფართობი 250 კვ.მ., ორი ტუალეტი, სამრეცხაოთი, საკუჭნაოთი, ტელეფონით და ავტოფარეხით. ტელეფონი: 22-54-96 (დოდო). ფასი შეთანხმებით.
- საძინებელს „ლუდოვიკო“, სასადილო „რენესანსს“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-89-17. იკითხეთ ილო ან ნუგზარი.
- იმპორტულ სასადილო კომპლექტს „რენესანსს“ ახალ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-79-27. თამილა.
- კედელი „მირაჟი“, კედლის ძველებური სარკე 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78, 31-89-48.
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ბორჯომში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. გათბობის სისტემა და რუსული აბანო, ავეჯით. ფასი 25000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ოზურგეთში, თიბის ქუჩაზე 800 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, სათავსოებით, ავეჯით ან უავეჯოდ კაპიტალური შემოღობვით. ფასი 50000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

ღიმილვორდი

შეუღალა: 1. თუ ბუ-მერანგი ბაბუსია, „წაწიკ“ ბაბუსია... 2. ქართულად კუ ქვია. ხოლო რუსულად ვთარგმნით... 3. ორგინალური სასმელი — სამშენებლო მასალა. 4. ესაძის აშენებული ქალაქი. 5. ვეველაზე ცნობილი გეომეტრიული ფიგურა ევკლიტში. 6. სანამ ხიზილალა გახდება. 7. ვინ იცის ტირილი სადილამდე? 8. კრუსხა და რუჟილს შორის ბარტერული გაცვლის ერთ-ერთი პროდუქტი. 9. თავიდან ყროლდება. 10. თუ შეიშის დედაქალაქი. 11. ცნობილი ქურდი ბიჭი, ყომარბაში (ზღვაშიც ბნადღრობს). 12. „რა აქლემის ბრალდა, თუ ვიწრო იგი“. 13. კოდეგების გაუიცვის შედეგად განთავისუფლებული ქურდაცავე მრეცხავი (კინ). 14. ქვაზე დასადება. 15. ხეცურთი ვაჟაკისთვის აკრძალული საქმელი. 16. ახლო წარსულში 1 მანეთიანი ტრანსპორტი. 17. ნახევარი აბას, ნახევარი იმას (კად). 18. მულდედამთილის ოპოზიცია.

თარგმნა: 1. ნარც ქურდი და არც პირატი, კოტე არის ა...? 2. ქალი, რომელიც აღმოსავლეთისკენ მოიწევს. 3. რამდენმა მამ ვერ იმყოფინა თილის გულში...? 4. პატარა ბავშვის სასიერო? 5. ქერის გვარი შეიღობა (მულატი). 6. მეგობრის უბეში თვალების ფათურზე მისამდერი. 7. ორმა ვიკამინოვანი ბუზი. 8. ვინ არ უნდა სჯობდეს შვილს? 9. როცა მესამე ჩუმად არის. 10. ვინ არ გაულო კარი მეგობრებს? (კინ). 11. ცნობილი რეკორდსმენის სახელი (კინ). 12. რა უყო დებუტატობის კანდიდატმა კენჭს? 13. ლარამდე (რუს) 14. კლუბის გამე — სავლეს მეგობარი (კინ).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

პორტოკალიურად: 4. ჰავკავაძე 9. თუთაშია 10. თუთიუში 11. ინდოეთი 14. გრაცია 16. ფირალი 20. რაზანი 21. გენუა 22. ბასრი 23. ფორმანი 25. დოლიძე 30. ბილინი 32. აბაშიძე 35. სიხარული 36. ეკოლოგია 37. ატლანტიდა.

ვერტიკალურად: 1. რაზნი 2. პაროკო 3. უძღური 5. ბუხარი 6. აშული 7. სიონი 8. უშგული 12. დავა 13. ეტნა 15. ცემენტი 17. როურიკი 18. დრაჟი 19. ლიბია 24. რუჟა 25. არდი 26. ბორჯა 27. ანგია 29. ძაბრი 31. აპლა 32. ათლელი 33. შოპენი 34. ეკილე.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი მასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **კახტა ვეშაპიძე**
გენერალური დირექტორი **ვანტანო სალია**
პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაზა ტალახაძე**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 28-62-12.